



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

ქ. ოზურგეთი

18 დეკემბერი 2014 წელი

ბრძანება № 63

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავით დარჩიას მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის და „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის №231 ბრძანებულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: დავით დარჩია მივლინებული იქნას, ქალაქ თბილისში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ურეკი-შეკვეთილის ტურისტული-სარეაქრეაციო კომპლექსის და ხერთვისი-ვარძია-ოლდას კულტურული ლანდშაფტის ქალაქმშენებლობისთვის დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების მიმწოდებლების შესარჩევად შექმნილი დროებითი საკონკურსო კომისიის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად 2014 წლის 22-23 დეკემბერს 2-დღით.

2. საკრებულოს თავმჯდომარის მივლინების პერიოდში, საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება დაევალოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს დიმიტრი კვერდელიძეს.

3. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფა

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში .

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

დავით დარჩია